სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030609265744221

28 / აპრილი / 2021 წ. **თბილისი #06-73/ო**

„უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის №175 დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღეების სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დასაქმებულებზე არგავრცელების და საქმიანობის განსხვავებული პირობების დადგენის თაობაზე

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის №175 დადგენილებით განსაზღვრულ უქმე დღეებში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დასაქმებულთა საქმიანობის განსხვავებული პირობების დადგენის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვის, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებელი/უწყვეტი განხორციელების უზრუნველსაყოფად, ცენტრში დასაქმებულ პირებზე არ გავრცელდეს „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის №175 დადგენილებით გამოცხადებული უქმე დღეები.
2. ცენტრის ყველა დასაქმებულს, საჭიროებიდან გამომდინარე, განესაზღვროს მუშაობის ინდივიდუალური რეჟიმი (უქმე, დისტანციური, არადისტანციური) კურატორის (გენერალური დირექტორის/გენერალური დირექტორის შესაბამისი მოადგილის) და/ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოების და პროფესიული განვითარების სამმართველოს (თ. ჟვანია) უზრუნველყოს ცენტრის დასაქმებულთა ინფორმირება აღნიშნული ბრძანების შესახებ.
4. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 4 მაისიდან და მოქმედებს 2021 წლის 11 მაისის ჩათვლით.
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე